არასაწარმოო სფეროს სახეები და ფუნქციები

ეკატერინე კევლიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

სტატისტიკური აღრიცხვის პრაქტიკა ცნობს ეკონომიკის დაყოფას ორ ნაწილად: მატერიალური წარმოება და არასაწარმოო სფერო. ამასთან მატერიალური წარმოების სფეროს განეკუთვნება საქმიანობის ყველა სახე, სადაც იქმნება მატერიალური დოვლათი პროდუქტის, ენერგიის სახით და ტვირთის გადაადგილების, პროდუქტების შენახვის, დახარისხების, შეფუთვის და სხვა ფუნქციების ფორმით, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების პროცესის გაგრძელებას მიმოქცევის სფეროში. საქმიანობის დანარჩენი სახეები, რომელთა პროცესში მატერიალური დოვლათი არ იქმნება, შეადგენენ თავიათ ერთობლიობაში საქმიანობის არასაწარმოო სფეროს.

თანამედროვე სოციალურ–ეკონომიკურ ლიტერატურაში არასაწარმოო სფეროს შესახებ არ არსებობს ერთიანი შეხედულება. მთელ რიგ შემთხვევებში მასში შეაქვთ ვაჭრობა, მომარაგება–გასაღება, დამზადება და სხვ.[1] ამასთან აღნიშნავენ ტერმინების – „არასაწარმოო სფერო", „მოსახლეობის მომსახურების სფერო", „მომსახურების სფერო" – გამოყენების თეორიულ მართლზომიერებას.

ყველაზე მეტად ტერმინოლოგიურ სიმყარეს მოკლებულია მომსახურების სფერო. რიგ შემთხვევებში მას აკუთვნებენ სოციალური საქმიანობის სახეების სისტემასაც – სოციალური უზრუნველყოფა, დაზღვევა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვ. წინააღმდეგობები სახელწოდებათა ან ამა თუ იმ სფეროსათვის ცალკეული დარგების საქმიანობის სახეების მიკუთვნების მიმართ ერთი შეხედვით არ არის პრინციპული საკითხი. მაგრამ მათ უკან იმალება საზოგადოებრივი კვლავწარმოების სტრუქტურიზაციის პროცესის სოციალურ–ეკონომიკური შინაარსის წინააღმდეგობები. როგორც ჩანს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურა ცვალებადია. იგი წარმოადგენს მრავალასპექტიან ცნებას, რომელიც განიცდის მუდმივად განვითარებას და დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესს. ამასთან არასაწარმოო სფეროსა და მატერიალური წარმოების გამოყოფისათვის იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს:

- დარგებისა და საქმიანობის სახეების მონაწილეობა მატერიალური დოვლათის შექმნაში;
- პირდაპირი ზემოქმედება ბუნებაზე. თუ დარგის საქმიანობა ბუნების საგნების გარდაქმნაა მათი ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, იგი განეკუთვნება მატერიალურ წამოებას. არასაწარმოო სფეროს განეკუთვნება საქმიანობის ყველა ის სახე, რომელშიც პროდუქტი გაიცვლება და მოიხმარება;
- შრომის შედეგების განივთება. თუ ასეთი განივთება არ ხდება, საქმიანობა განეკუთვნება არასაწარმოო სფეროს.

ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი კრიტერიუმები ყველაზე მეტად შეესაბამება ეკონომიკური კომპლექსის დიფერენციაციის პრონციპებს. მათ გააჩნიათ სხვადასხვანაირი ეკონომიკური ბუნება. ამასთან ერთად ყალიბდება ახალი მიდგომა საზოგადოებრივი წარმოების სფეროების განაწილებისადმი, რომლის მიხედვით გამოიყოფა სოციალური ასპექტები. არასაწარმოო სფერო განეკუთვნება რთულ სისტემას, რომელიც ვითარდება საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ არასაწარმოო სფეროს ცნება სულ უფრო იძენს "სოციალურ ელფერს".

ბოლო წლებში გავრცელება ჰპოვა ისეთმა ცნებებმა, როგორიცაა „სოციალური სფერო", „სოციალური ინფრასტრუქტურა" „სოციალურ–კულტურული–საყოფაცხოვრებო სფერო" და ა.შ. სახელწოდებათა ცვლილება არა არის ფორმალური. იგი არასაწარმოო სფეროს აახლოვებს ადამიანთან, მიმართავს მას ცხოველმოქმედების პირობების შექმნაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე არასაწარმოო (ანუ სოციალური) სფერო განისაზღვრება როგორც ეკონომიკის (ბიზნესის) დარგების კომპლექსი, რომლებიც ასრულებენ მოსახლეობის მომსახურების, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ცხოველმოქმედების ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის ფუნქციებს. განიხილავენ რა სოციალური სფეროს ორგანიზაციებს კლასიკური ზოგადი ეკონომიკური თეორიის (ინგლისურენოვან ქვეყნებში „ეკონომიკს"–ის) თვალსაზრისით, მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მათ გააჩნიათ ყველა ეკონომიკური პარამეტრი, რომლებიც დამ-

[1] Левичева В.Ф., Щербина В.Ф. Материальное и идеальное в общественном воспроизводстве. Ленинград, 1994, с. 24.

ახასიათებელია ნებისმიერი საწარმოებისათვის, ფირმებისა და კომპანიებისათვის. არასაწარმოო სფეროს დარგები ასრულებენ განსაზღვრულ სოციალურ–ეკონომიკურ ფუნქციებს იყენებენ მატერიალურ და შრომით რესურსებს, საჭიროებენ ინვესტიციებს და ა.შ. ამიტომ მოცემულ შემთხვევაში სოციალური კრიტერიუმები იძენენ განმსაზღვრელ მნიშვნელობას. ამრიგად, არასაწარმოო სფერო ერთიანი, დამოუკიდებელი კომპლექსია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანთან, რაც ანიჭებს მას სოციალურ მიმართულებას.

როგორც არასაწარმოო სფეროს, ასევე მატერიალური წარმოების განვითარების მიზანია ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგრამ ასეთი დაკმაყოფილება უშუალოდ ხორციელდება პირველ შემთხვევაში. თუ მატერიალური წარმოებისას იგი ხორციელდება რამდენიმე საფეხურისა და ეტაპის მეშვეობით, რომლებიც გავრცელებულია დროსა და სივრცეში, არასაწარმოო სფერო ფუნქციონირებს წარმოებისა და მოხმარების თანდამთხვევების პირობებში. მისი თავისებურება ის არის, რომ იგი უბრალოდ არა მარტო საზოგადოებრივი წარმოების ნაწილია, არამედ ელემენტი, რომელიც უშუალოდ აყალიბებს სოციალურ–ეკონომიკურ პირობებს. სწორედ არასაწარმოო სფეროსა და მის განვითარების დონეში აისახება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, კეთილდღეობის დონე და საერთოდ ცხოვრების მოწყობა.

მაშასადამე, არასაწარმოო სფეროში იწარმოება როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური მომსახურებაც, აგრეთვე ხორციელდება მოხმარების პროცესის მომსახურება მრავალფეროვან მომსახურებაზე მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით. ამ სფეროს აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს: „მომსახურების სფერო", „სოციალური სფერო".

სოციალურად ორიენტირებულ მიდგომას საზოგადოებრივი წარმოების სფეროსადმი გააჩნია თავისი სპეციფიკა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მკაცრი კავშირი დარგობრივ სტრუქტურასთან, ვინაიდან დარგობრივი სტრუქტურა დინამიკურია და განიცდის ცვლილებებს. მუდმივად წარმოიშობიან და ყალიბდებიან როგორც ცალკეული დამოუკიდებელი დარგები, ასევე საქმიანობის ახალი დარგები. ეს პროცესი ასახავს არასაწარმოო სფეროს ევოლუციას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია სოციალური მიმართულება.

არასაწარმოო სფეროს დარგობრივი სტრუქტურა დამოკიდებულია ფუნქციებზე, რომლებსაც იგი ასრულებს. გამოყოფენ შემდეგ ფუნქციებს:

- საქონლის გავრცელება (ვაჭრობა) და გაცვლა;
- სამომხმარებლო მომსახურება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა;
- განათლება;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მართვა.

თითოეული ამ ფუნქციიდან მოიცავს რიგ სახეებს (დარგებს, ქვედარგებს), რომელთა დანიშნულებაა განსაზღვრული სოციალური მომსახურების გაწევა. საქმიანობის ასეთი სახეების ნომენკლატურა ფართო და მრავალფეროვანია. სტრატეგიული და შედარებით ახალი მომსახურების (იგულისხმება ახალი სახეები) მრავალფეროვნების მიუხედავად გამოყოფენ რიგ საერთო ნიშნებს, რომლებიც აერთიანებენ მათ ერთ სფეროდ. მათ მიეკუთვნება:

- მომსახურების ერთიანი სოციალური მიმართულება. მომსახურების მიზანია ადამიანის მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილება;
- მომსახურების წარმოებისა და მოხმარების განვითარების ისტორიული ერთიანობა;
- მომსახურების წარმოებისა და მოხმარების პირობების მსგავსება.

TYPES AND FUNCTIONS OF NONPRODUCTION FIELD

EKATERINE KEVLISHVILI - PhD student of GTU

Statistical practice recognizes the economic division into two parts: material production and nonproduction field.

There are different expressions – "nonproduction field", "people's service sector", "the service sector" – theoretical correctness of them.

The less terminological accuracy has the service sector. In some situations social activities are also included in this field – social security, insurance, public order, etc. at first sight contradictions about names belonging to certain sectors of economic activities is not a principal issue.